№ 13 მთავრობის ორგანო

საქართველოს რესპუბლიკა

ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

ფასი 2 მან. კვირა, 18 იანვარი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ." 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. მე-მ ცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. განგვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას, იანვრის 18 თარხან-მოურავის ბენეფისი **ტრავიატა.** ორშაბათს იანვრ. 19 **ფრა-დიავოლო.** სამშაბათს, იანვრის 20-ს ო. ს. ოვასოვა კალანდაძის ბენეფისი **ქეთო და კოტე.** ოთხშაბათს, იანვრის 21-ს „ბოჰემა". ხუთშაბათს იანვრის 22-ს „აბესალომი და ეთერი". 86

დრამატიული საზოგადოების სარევიზიო კომისია

აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნებია: 1. მიღება ახალ წევრებისა, 2. მოხსენება სარევიზიო კომისიისა. 3. არჩევნები ახალ გამგეობისა, 4) მიმდინარე საკითხები. კრება შესდგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. 5—5 24

ოფიციალური განყოფილება.

დეკრეტი

ისტორიულად და კულტურულად მნიშვნელოვან ნივთების შესაძენად სამუზეუმო თანხის დაარსებისა.

1. დაარსებულ იქნეს ისტორიულად და კულტურულად მნიშვნელოვან ნივთების შესაძენად საmuზეუმო თანხა.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ ფონდის შესადგენად გადადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ერთი მილიონი (1.000.000) მანეთი სახალხო განათლების სამინისტროს განკარგულებაში.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 30.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

1914 წლ. დეკემბრის 16-ს დროებითი კანონის (ზოგიერთ ეხლანდელ გადასახადთა გადიდების) მოქმედების განგრძობისა ახალ კანონის გამოცემამდე.

1. მოქმედება 1914 წლის დეკემბრის 16-ს დროებითი კანონის 1 განყოფილებისა—ზოგიერთ ეხლანდელ გადასახადთა გადიდების შესახებ (რუსეთის „კანონთა კრებული" 1914 წლის № 366, კან. 3544) განგრძობილ იქნეს 1919 წლის იანვრის 1-დან ახალ კანონის გამოცემამდე.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 30-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს 1919—20 წლის დამატებითი ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში 17.784.065 მ. გადებისა.

1) გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა და ვაჭრობა—მრეწველობის სამინისტროს 1919/20 წლის დამატებითი ხარჯთაღრიცხვის ანგარიშში ამა 1919 წლის ოქტომბრის 1-დან 1920 წლ. მარტის 1-დე ყოველთვიურად 3.556 813 მან. სულ ხუთ თვეში ჩვიდმეტი მილიონი შვიდას ოთხმოცდა ოთხი ათასი სამოცდა ხუთი მანეთი (17.784.065 მ.).

2) დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წლის დეკემბრის 30-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტისათვის ერთდროულ დახმარებად 150.000 მან. გადადებისა.

1. გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან განათლების მინისტრის განკარგულებაში ას ორმოცდა ათი ათასი (150.000) მან. ტფილისის პოლიტეხნიკური ინსტიტუტისათვის ერთდროულ დახმარებად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 30-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი.

მთავარ-საბჭოს შენობის შესაკეთებლად 109.877 მ. 25 კაპ. გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში ას ცხრა ათას რვაას სამოცდა ჩვიდმეტი მანეთი და 25 კაპ. (109.877 მან. 25 კაპ.) მთავარ-საბჭოს შენობის სახურავის შესაკეთებლად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 31.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

დეკრეტი

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ რაზმის მოქმედების განგრძობისა სპეკულიაციისა, კონტრრევოლიუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

1. განგრძობილ იქნეს მოქმედება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან დაარსებულ განსაკუთრებულ რაზმისა სპეკულიაციისა, კონტრრევოლიუციისა და მძარცველობის წინააღმდეგ საბრძოლველად 1920 წლის ივნისის 1-დე.

2. 1919 წლის აგვისტოს 1-ლის კანონით შემოღებულ შტატისა და ხარჯთაღრიცხვის („კან. და მთავ. განკ. კრებ." 1919 წლ. № 14, კან. № 140) ნაცვლად დამტკიცებულ და შემოღებულ იქნეს 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე ამ დეკრეტთან დართული შტატი და ხარჯთაღრიცხვა პირველ მუხლში აღნიშნულ რაზმისა.

3. გადებულ იქნეს სახელმწიფო ხაზინიდან ამ დეკრეტის მეორე მუხლში აღნიშნულ შტატისა და ხარჯთაღრიცხვისათვის 1920 წლის იანვრის 1-დან ივნისის 1-დე სამი მილიონი სამას ორმოცდა თორმეტი ათას (3.352.000) მანეთი.

4. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. დეკემბრის 31-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდ. უფრ. ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე

ევგ. გეგეჭკორი.

განკარგულებანი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი.

16 იანვარი, 1920 წ., № 5.

მივემგზავრები რა სამსახურის საქმეებისა გამო ტფილისიდან, შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობათა აღსრულებას ვავალებ მინისტრის ამხანაგს ნ. ხომერიკს და სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგს ნოე ცინცაძეს.

მინისტრი ნ. რამიშვილი.

16 იანვარი, 1920 წ., № 4.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრატიული ნაწილის ინსპექტორი გეგელაშვილი სამსახურის საქმეებისგამო მიემგზავრება რესპუბლიკის ფარგლებში; ხსენებული ინსპექტორის თანამდებობის დროებით აღსრულება ევალება ამავე ნაწილის განსაკუთრებულ მინდობილებათა მოხელეს შენგელიას.

მინისტრის ამხ. ხომერიკი.

არა ოფიციალური განყოფილება

დამფუძნებელი კრება

პრეზიდიუმის დეპეშები აზერბეიჯანის და სომხეთის პარლამენტების თავმჯდომარეებს.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსმა ამხანაგმა ალ. ლომთათიძემ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა აზერბეიჯანის პარლამენტის თავმჯდომარეს:

„საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო შემდგარმა დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომამ მოისმინა რა აზერბეიჯანის პარლამენტის მილოცვა, ღრმა მადლობას უცხადებს და თავის მხრით მხურვალე სალამს უძღვნის და ულოცავს აზერბეიჯანის ხალხს, მისი პარლამენტის სახით ევროპის ხალხთა ოჯახში სრულუფლებიან წევრათ შესვლას. დაე, ამ ორი რესპუბლიკის ხალხთა მისწრაფებათა მისწრაფებების ზეიმმა უფრო მჭიდროთ შეაკავშიროს ისინი და გააერთიანოს მათი ძალები და ნებისყოფა დამოუკიდებელ არსებობის დასაცავათ ახალი ბრძოლისთვის.

გაუმარჯოს თავისუფალ აზერბეიჯანის თავისუფალ ხალხს.

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

—

ერევანი. სომხეთის პარლამენტის თავმჯდომარეს.

„საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო იანვრის 14 შემდგარი დამფუძნებელ კრების საზეიმო სხდომა გამოსთქვამს ღრმა რწმენას, რომ მალე სომხეთის ხალხიც იღლესასწაულებს თავისი დამოუკიდებლობის ცნობას, ვინაიდან ევროპის სახელმწიფონი არ დააყოვნებენ თავიანთ ოჯახში მიიღონ სომხეთიც, და ამიერ კავკასიის თავისუფალ რესპუბლიკები ძმურათ შეკავშირებულნი და ხელი ხელ ჩაკიდებულნი ივლიან წინ პროგრესის და დამოუკიდებელ არსებობის დაცვის გზით".

დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

შინაგან საქ. სამინისტროში

მინისტრის გამგზავრება.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და ადმინისტრაციის ინსპექტორი ს. გეგელაშვილი სამსახურის საქმეების გამო ქუთაისში გაემგზავრენ.

ყაჩაღების მოკვლა.

თელავიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებენ, რომ 4 იანვარს ღამით, ს. ყვარელში გვარდიელებს შეტაკება მოუხდათ ყაჩაღებთან. შეტაკების დროს დაიჭრა 3 გვარდიელი, მოკლეს ყაჩაღი ხმიადაშვილი, რომელსაც 135 თოფის პატრონი და 1.550 მან. აღმოაჩნდა.

ციხეების დათვალიერება.

რესპუბლიკის ციხეთა ინსპექტორი ივ. იაშვილი ამ ქამათ ქუთაისის მაზრაში იმყოფება ციხეების დასათვალიერებლათ.

შრომის სამინისტროში

ტარიფების გადიდება.

სატარიფო პალატამ 14 იანვრის სხდომაზე დაადგინა ყველა მუშა მოსამსახურეთა ჯამაგირი და ხელფასი 1 იანვრიდან გადიდებულ იქმნეს 60 პროც. სატარიფო პალატა უკვე შეუდგა ცალკე დაწესებულებათა და დარგების მუშა მოსამსახურეთა ტარიფების განხილვას, რომლებიც დამტკიცების შემდეგ გამოქვეყნებული იქნება.

განათლების სამინისტროში

მზადება 26 მაისის დღესასწაულისათვის

ტან ვარჯიშობის მთავარ გამგეობას განზრახული აქვს 26 მაისის დღესასწაულზე ყველა საშუალო სასწავლებელთა შეერთებული ტან ვარჯიშული გამოსვლა მოაწყოს და ამ თავითვე შეუდგა შესაფერ თადარიგს. ტანვარჯიშობის მთავარმა ინსტრუქტორმა დაუგზავნა სასწავლებლებს შეკითხვები, თუ რამდენი მოწაფე შეიძლება მომზადდეს ხსენებულ დღესასწაულისთვის. მიღებულ პასუხებიდან გამოირკვა, რომ დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს 4.000 მდე ვაჟი და ქალი. მთავარ გამგეობამ უკვე შეიმუშავა დღესასწაულის პროგრამა, რომელიც მოკლე ხანში ტანვარჯიშობის ყველა მასწავლებლებს დაეგზავნება.

ტან-ვარჯიშობის მასწავლებელთა მომზადება.

ახლო მომავალში ტფილისში გაიხსნება ტან-ვარჯიშობის მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები. ტან-ვარჯიშობის მთავარ გამგეობამ უკვე შეიმუშავა კურსების პროგრამა. კურსები გაიხსნება საზ. „შევარდენი" I-ის დარბაზში 1 ივნისს და მეცადინეობა განგრძელდება 1 სექტემბრამდე. კურსებზე მიიღება მსმენელებათ რესპუბლიკის ყველა სასწავლებლის ტან-ვარჯიშობის მასწავლებელი საზ. „შევარდენი"-ს მწრთვნელები. იმ პირთ, რომელნიც ამ კურსებს არ დაამთავრებენ ტან-ვარჯიშობის მასწავლებლობის უფლება არ ექნებათ.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

ფონდის მიწების დამუშავებისათვის

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებამ შემდეგი შინაარსის მოწერილობა გაუგზავნა გორის, დუშეთის და შორაპნის ერობათა გამგეობებს:

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახ-

ლების განყოფილების განკარგულებაში ახალქალაქის მაზრაში იმყოფება 9000 დესეტინამდე თავისუფალი მიწა, რომელიც გამზადებულია დასასახლებლად. მცირე ნაწილი ამ მიწებისა უკვე დახნული და დათესილია დუშეთის მაზრიდან გადმოსახლებულთაგან, რამოდენიმე სივრცე ჩარიცხულია გადასახლების მსურველებზე, რომელთაც ვერ მოა-წრეს და ზამთრების გამო მისი დახვნა და დათესვა; უდიდესი ნაწილი კი ზემოხსენებული სივრცისა ჯერჯერობით თავისუფალია. ეს მიწები, როგორც საზოგადოდ ჯავახეთის მიწები, საუკეთესო ნიადაგისაა (ბევრს ალაგას შავი მიწის სისქე ერთ ადლს აღემატება) და მათი სინოყიერე განთქმულია მთელ საქართველოში. ცნობილია, რომ თუ ამინდმა ხელი შეუწყო, ჯავახეთის მოსავალს შეუძლია მთელი საქართველოს გამოკვება.

ა. წ. 6 იანვრის მთავრობის დადგენილებით ეს მიწები, როგორც საქართველოს სხვა თავისუფალი სახელმწიფო და კერძო მესაკუთრეთა მიწები, აუცილებლად უნდა დახნულ და დათესილ იქნან მომავალ გაზაფხულზე, რათა აცილებულ იქნას გასული წლის მოუსავლობისაგან გამოწვეული სანოვაგის კრიზისი მომავალშიც. წარსულ ომებისაგან დაზარალებულ და ზოგან სრულიად განადგურებულ ადგილობრივ მკვიდრთ არ შეწევთ ძალა არა თუ ამ თავისუფალი მიწებისა, თავიანთი საკუთარი მიწების დასამუშავებლადაც. საჭიროა ახალქალაქის მაზრაში გაგზავნილ იქნან ხელნებულ მიწების დასამუშავებლად სხვა მაზრებიდან არტელები და ცალკე მეურნენი, რომელთაც ამისათვის საკმაოა სამუშაო ძალა (მუშა ხელი, ხარ კამჩი და სხვა) და საათესლე მოეპოვებათ. სამინისტროს გადაწყვეტილი აქვს ასეთ არტელებს და ცალკე მეურნეთ მისცეს მიწები სრულიად უფასოდ, აღმოუჩინონ დახმარება, შეძლების დაგვარად, სამეურნეო იარაღით, რომელიც იმყოფება გადასახლების განყოფილების საწყობში ქალ. ახალქალაქში და სათესლით, თუ ასეთის დამზადება შესძლო ხელნებულმა განყოფილებამ. უკანასკნელ შემთხვევაში სათესლე მიეცემათ მსურველთ სესხად, რომელიც უნდა დაბრუნებულ იქნას მოსავლის მოწევის დროს.

გაუწყებთ რა ამას, ხსენებული სამინისტროს გადასახლების განყოფილება გთხოვთ ფართოდ გააცნოთ სათემო გამგეობების შემწეობით ზემოხსენებული თქვენი მაზრის მცხოვრებთ და ხელი შეუწყოთ მათ არტელებათ ან ცალ ცალკე ახალ ქალაქის მაზრაში გამგზავრებაში აღნიშნულ თავისუფალი მიწების დასამუშავებლად. ასეთმა არტელებმა და ცალკე პირებმა მიწების და შესაძლო დახმარების მისაღებად უნდა მიმართონ ქ. ახალქალაქში გადასახლების საქმის სარაიონო გამგეს ნიკო ტლაშაძეს, რომელსაც მიცემული აქვს ამ საქმეზე სათანადო ინსტრუქციები.

ო. უორდროპის წერილი ა. ი. ხატისოვისადმი.

ბრიტანეთის მთავარი კომისარის ოლივერ უორდროპის ყურამდე მიღწია იმ ამბავმა, რომ სომხების წრეებში დიდი მითქმა-მოთქმას იწვევს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების დაგვიანება. ამის შესახებ უორდროპმა 15 იანვარს, დილით შემდეგი წერილი გაუგზავნა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვს.

15 იანვარი 1920 წ.

ძვირფასო ხატისიანი!

მე ძლიერ შეწუხებული ვიყავ, შევიტყვე რა თქვენგან, რომ თქვენი თანამემამულეები შეძრწუნებული არიან იმ გარემოებით, რომ ამ ჟამად აღიარეს ფაქტიურათ დამოუკიდებლობა მხოლოდ საქართველოსი და ადერბეიჯანისა. ჩემს აზრით, ამ ცნობას სულ სხვა გვარი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა. სომხეთის საკითხს მეტ დროთ დაკავშირებულია ოსმალეთის საკითხთან და მალე გადაწყდება ოსმალეთთან ზავის შეკვრისას; მანამ მეკი არ მაქვს რწმენება რაიმე განცხადოდ ოფიციალურათ სომხეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. თვით ის ფაქტი, რომ საქართველო და ადერბეიჯანი ოფიციალურათ აღიარეს, არის დამტკიცებული იმისა, რომ სომხეთის ხალხს არ აქვს არავითარი საბაბი უკმაყოფილების და აღელვების. როგორც თქვენ იცით, მე აქ ჩამოსვლისათანავე სომხეთის საქმეებს ისევე ვეპყრობოდი, როგორც საქართველოს და ადერბეიჯანის საქმეებს და მომავალშიც ასე ვმოქმედებ. სომხეთის ხალხის უფლება მოკავშირეების სახელმწიფოების მოღვაწეთა მიერ არა ერთხელ აღიარებულა საჯაროთ, ასე რომ, de facto მისი უფლებების აღიარებას აღარ აქვს ისეთი დიდ მნიშვნელობა; ახლა გასაკეთებელია მხოლოდ ის, რომ გამოიძებნოს ისეთი ფორმულა, რომლითაც აღიარებული იქნება ეს დამოუკიდებლობა. ჩემის აზრით, არ არის არავითარი საბუთი აღელვებისა. სრული იმედი უნდა იქონიოთ, რომ მოკავშირეები სომხეს ხალხს სამართლიანად მოეპყრობიან. ჯერჯერობით არ უნდა ითქვას ის, რაც წინ უსწრებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული იქნება მოკავშირეების მიერ.

თქვენი ერთგული ო. უორდროპი.

პატარა შენიშვნები.

ველურობის მოციქულნი.

ჩვენებური ბალშევიკები ვერ შეურიგდნენ იმ მდგომარეობას, რომ ჩვენი ცხოვრება არა დგას სამოქალაქო ომის ნიადაგზე.

მთელ დედა მიწის ზურგზე მხოლოდ რუსეთი დარჩა ნოყიერი ნიადაგი ამ ბალშევიკური მცენარის—სამოქალაქო ომისთვის.

არავითარ საშუალებას არ ერიდებიან ბალშევიკები, ოღონდ კი მათი რუსეთული ნაწარმოები ვისმეს შეაჩჩონ ხელში.

მოსყიდული აგენტების დაუღალავი შრომა, სიცრუე სიყალბე აი რით ფიქრობენ სხვა ქვეყნებში ფონი გასვლას!..

ერთი ასეთი მაგალითის მოწამე ამ დღეებში გავხდით.

ბალშევიკებმა გრძელი ფურცელი გამოსცეს და იცით რა აუწყეს ქართველ ხალხს?

თქვენი მთავრობა მენშევიკურია, ის არ ვარგა, თქვენი ცხოვრება ვერ მოაწყო კარგათ. შეხედეთ რუსეთის საბჭოთა მთავრობას და ისე ეოქეცითო.

ბალშევიკები რომ ერთ დებულებას იცავდნენ, რომლის მიხედვით—სინდისიც კარგი საქონელია—ამას ვერ იტყოდნენ: მაგრამ სად სინდის ნამუსი, სად ბალშევიზმი!..

რა უნდა გადმოიღოს ჩვენმა მუშამ და გლეხმა რუსეთის „სოვდეპიიდან“.

„პოგრომი“? არა. ეს ჩვენს ხალხს თავიდანვე არ „უწვავლია“ და ახლა ვეღარ შეიწვავლის!

ერთ დაზგაზე მიმუშავე, გინდ ერთი სოფლის ყურის მეზობლები მუშები და გლეხები ერთმანეთს უნდა დაერივნენ დასახოცავად?..

ჩვენებური მუშა ივნე გინდ გლეხი პეტრე კარგათ იცნობენ თავიანთ მეზობლებს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მათი მეზობლები არ არიან იმდენათ „კონტრ რევოლიუციონერები“, რომ საჭირო იყოს მათი ამოწყვეტა!..

მაშ, რა მოვიტანოთ, რა გადმოვიღოთ რუსეთიდან?

სიცივე?

შიმშილი?

ტიფ ?

არც ერთი ეს ჩვენ ხალხს არ სურს.

სიცივეს საწინააღმდეგოთ ის შეშას ამზადებს ტყეებში, ნახშირი ამოაქვს დედამიწის გულიდან.

მოსალოდნელ შიმშილობას ებრძვის არსებული სურსათის ხელმომჭირნეობით. მომავალში—ცარიელი ადგილების დამუშავებით, რომ საკვები ბევრი იქნეს.

აბა ვინ იქნება ისეთი შეშლილი, რომ ტიფი, პარტიანი ტიფი გადმოინერგოს „სოვდეპიიდან“?

რა არის ამას გარდა „სოვდეპიაში?“.

არაფერი!..

ნგრევა, სისხლის ღვრა, დაუსრულებელი ძმათა ომი!..

და განა ეს სჭირია დღეს ჩვენს ხალხს?

ბალშევიკებმა, მართალია, სძლიეს დენიკინს, კოლჩაკს და საერთოდ კონტრ-რევოლიუციას, მაგრამ მათ ვერაფერი გააწყვეს შიმშილთან, სიცივესთან, სხვა და სხვა სენთან.

დენიკინ-კოლჩაკის წინააღმდეგ ბალშევიკებს ერთი ვარიანტი აქვთ: მაგრამ, აბა, სცადეთ და გამოიანკარიშეთ რამდენი ფრონტი აქვთ ბალშევიკებს შიმშილთან, სიცივესთან, სიტიტვლე თან, ტიფთან? ბალშევიკური იარაღი ამ მტრებთან ბრძოლაში უკარგისი გამოდგა. ისინი ყოველი ფეხის გადადგმაზე შეგხვდებიან ბალშევიკების სამეფოში. ქალაქში, ოფელში, რკინის გზაზე, ქუჩაში, ოთახში, სახლში ყველგან მაგრათ მოუკალათებია ამ მტრებს. ვერ უშველია ბალშევიკებს ამ მტრებთან ბრძოლაში ვერც წითელმა არმიამ, ვერც „ჩრეზვ ჩაიკამ“, ვერც „სოვდეპმა“.

ბევრი ბოროტი საქმეები გააკეთეს ბალშევიკებმა სიცრუით, ტყუილებით. ასე დაიწყეს თავიანთი მოღვაწეობა, ასევე განაგრძობენ.

წელს საახალწლო მილოცვაში მოსკოვის რადიომ აუწყა ყველას, ყველას, ყველა...

რომ საბჭოთა რუსეთმა დაამარცხა შინაური კონტრ-რევოლიუცია, ევროპის იმპერიალიზმი და სხვა ძლიერი მტრები.

ადრე „სოვდეპები“ მოეწყობა ბერლინში, პარიზში, ლონდონში, რომში და ვაშინგტონში, იუწყება რადიო.

ასეთი ცნობების გამო, ერთმა გაზეთმა სახუმარო პატარა ფელეტონი დაბეჭდა იმის შესახებ, თუ როგორ დაამარცხა რუსეთის საბჭოთა მთავრობამ ევროპის ძლიერი იმპერიალისტები და—თუ როგორ შესშეჭამა რუსეთის ბალშევიკები ისეთმა სუსტმა ცხოველებმა როგორნიც არიან კბენარი და ბალენჯი“.

განა ასეთი ხუმრობა ზედ გამოჭეული სინამდვილის გამოხატულება არ არის საბჭოთა რუსეთის მდგომარეობისა? შორს ჩვენგან...

მილოცვები

უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას მოუვიდა შემდეგი მილოცვის დეპეშები სხვა და სხვა დაწესებულებათა და პირთაგან:

სოხუმიდან—გარნიზონის უფროსი პოლკ. სერესელი, ახალციხე ახალქალაქის რაზმის დროებითი უფროსი მაიორი ოთხმეზური, მანგლისიდან გარნიზონის უფროსი პოლკოვნიკი გრიგოლია, ს. წესიდან ვანო ჭეჭანაძე და სხვანი, იქიდანვე ვიქტორ არაბიძე და სხ., ახალციხიდან—სიმ. ჩიქოვანი, ბათუმიდან—საზღვაო კაპიტანი ხეჩინოვი, ჭრებალოდან—ადგილობრივ მცხოვრებთაგან, ტფილისიდან—რაბინი მარკუსი, იქიდანვე—იოსებ ხანანაშვილი და სხ., სოხუმიდან—ჭუტო შერვაშიძე, ფლანჩხუთიდან—ეკვთიმე ორაგვილიძე, ტფილისიდან—გრიგოლ დიასამიძე, იქიდანვე—ნოე სიხარულიძე, ტყიბულიდან—მიტინგის თავმჯდომარე—სიმონ მეხუზლა, საჩხერიდან—რკინის გზის მოსამსახურეებისგან, ლაგოდეხიდან—ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთაგან, სურამიდან—ქალაქის მოსამსახურეთაგან, სანდარიდან „ვიაურ არხის“ მამულის მუშა-მოსამსახურეთაგან, ბაკურიანიდან—ადგილობრივ ფყოფ მხედრობისგან, სამტრედიიდან—რკინის გზის მოსამსახურეთაგან, საგარეჯოდან—მუშა-მოსამსახურენი, ფოთიდან—მეზღვაურონი და მუშა-მოსამსახურენი, იქიდანვე—ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი, ტფილისიდან — მასწავლებელთა ყრილობა, ტფილისიდან—ბათუმის კონსული ჩინჯარშვილი და უშვერიძე, აბასთუმნიდან—სახელმწიფო მამულის მუშა-მოსამსახურენი, ტობანიერიდან—თემის ხმოსანთა ყრილობა, გორიდან—ოლქის მოსამართლეთა ყრილობა, სამტრედიიდან—ფოსტა ტელეგრაფის მოსამსახურენი, თიანეთიდან—ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი, ტფილისიდან—გადასახადთა სამმართველოს ინსპექცია, ბორჯომიდან—რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი, ფოთიდან—ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი, სადახლოდან—რკ.-გზის მუშა-მოსამსახურენი, კასპიდან—რაიონის მუშა-მოსამსახურენი, ახალქალაქიდან—სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი, იუსტიციის სამინისტროს მოხელეთაგან, გაგრიდან—ფრონტის მოსამსახურენი. სილნაღიდან—მოქალაქეთა მიტინგი, შორაპნიდან—რკინის გზის მუშა-მოსამსახურენი, საქართველოს ნავთსადგურთა სამმართველოს უფროსისგან, იალომიდან—გენ. მენუშაშვილი, ფოთიდან—საზღვაოსნო სასწავლებლის უფროსი გოგავა, ტფილისიდან—საქართველოს მეაფთიაქეთა კავშირი, ტფილისიდან—გაზ. „ვოლნი გორეც“-ის რედაქცია, ყაზბეგიდან—სტეფანწმინდის სავაჭრო ამხანაგობა, ტფილისიდან—მეფურნეთა უტბაბაში კარპეზ ქამარიანცი, იქიდანვე—თურქესტანის დამფუძნებელ კრების მომწვევი კომიტეტის თავმჯდომარე ჩოკაევი, ახალციხე ახალქალაქის სამღვდელოებისგან, ღანირიდან—თემის საბჭო, ქუთაისიდან—პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭო, გურჯაანიდან—კოოპერატიულ ბანკის გამგეობა, თელავიდან—კახეთის კოოპერატორნი, ფოთიდან—საბაჟო, ახალსენაკიდან—ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი, მეჯვრისხევიდან—ფოსტის უფროსი, ალავერდიდან—ნეიტრალურ ზონის ქართველი მოსამსახურენი, ტფილისიდან—ებრაელთა პარტია „ციერეციონი“, ფოთიდან ქ ლაქის თვითმმართველობა, ჯუმათიდან—სოც.-დემოკრატიული კოლექტივი.

მუნიციპალური ცხოვრება.

ბინის ქალაქის საბჭოში.

25 დეკემბრის სხდომა.

ახლად არჩეულმა საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვათ მიმართა ამრჩევლებს. მან გააცნო დამსწრეთ ქალაქთა თვითმართველობის მოკლე ისტორია: მათი შემადგენლობა, შეუძლებლობა ფართო სარბიელზე მოღვაწეობის უფლებრივი შეზღუდვა და თვითმართველობიდან მასის გარიყვა ძველი რუსეთის ბიუროკრატიული წყობილების მეოხებით. ამას დაუპირდაპირა დღევანდელი ხელსაყრელი პირობები ქალაქების აღორძინებისა და აღნიშნა მათი მნიშვნელობა ჩვენი საზოგადოებრივი განვითარებისათვის. მოუწოდა მოქალაქეთ თვითმართველობის მოღვაწეობის დახმარებისკენ, როგორც მატერიალურათ, ისე ზნეობრივათ. დასასრულ წინადადება მისცა მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს: დამფუძნებელ კრების თავმჯდომარეს, მთავრობის თავმჯდომარეს და ქალაქთა კავშირს. წინადადება მიღებულ იქნა და ტექსტის შედგენა დაეკალა პრეზიდიუმს. შემდეგ არჩეულ იქმნენ პრეზიდიუმის დანარჩენი წევრები: საბჭოს თავმჯდომარის ამხ ნაგათ მალაქია გრიგოლის ძე გობეჯიშვილი (ს. დ.) საბჭოს მდივნათ ზინაიდა გ. ჯაფარიძისა (ს. დ.). სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელით საბჭოს მიესალმა ზაქარია ბიჭაშვილი. სოციალ-ფედერალისტთა პარტიის სახელით-ივანე ჩლაიძე.

წაკითხულ იქმნა ფრაქციათა დეკლარაციები. ებრაელთა ხმოსნების სახელით წაიკითხა ხმ. დავით ბააზოვმა. ცალკე სიით გამოსვლისმიზნათ დაასახელა სურვილი, რომ მათი მოღვაწეობა იქმნეს უფრო თვალსაჩინო და ბოლოს ის იმედოვნებს სხვა პარტიათა წარმომადგენლებთან სოლიდარულ მოღვაწეობის შესაძლებლობას ქალაქს საკეთილდღეოთ. დეკლარაციების შემდეგ საბჭო გადავიდა გამგეობის და კომისიების არჩევნებზე, შემდეგ მ ღებულ იქნა წინადადება რომ გამგეობაში შედიოდეს ოთხი კაცი: ქალაქის თავი და სამი წევრი. ქალაქის თავის ჯამაგირის განსაზღვრის შესახებ საკითხი ოია დარჩა მუდმივ-ქალაქის თავის მოწვევამდე. დანარჩენ წევრთ ჯილდო განსაზღვრა ხუთასი მანეთით თვიურათ.

დროებით ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებლათ ფარული კენჭის ყრით ერთხმათ (16 ხმა) არჩეულ იქმნა ყოფილი მზრუნველი ზაქარია სტ, ბიჭაშვილი. ამასთანავე საბჭოს პრეზიდიუმს დაეკალა დაჩქარებით მუდმივ ქალაქის თავის მოწვევა კერძოთ ამის შესახებ გ. ჯაფარიძესთან მოლაპარაკება და შედეგის უახლოეს სხდომისათვის მოხსენება.

გამგეობის წევრების კანდიდატებათ არჩეულ იქმნენ შემდეგი პირები:

ა) დავით ბაზოვი (6 ხმ. 2 წინააღმდეგ)
ბ. გიორგი ლობჯანიძე (ს. დ.) 9 ხმით)
ბ) გიორგი მაზარაშვილი (ს. ფ. 9 ხმით).

შემდეგ საბჭომ აირჩია კომისიები 1) სარევიზიო კომისიაში არჩეულია: ა. ელიზბარ მ. ბერიშვილი (ს. დ) ბ. კონსტანტინე ს. ჯაფარიძე (ს. ფ.) გ. მათე ნ. გორდეზიანი (ნ. დ.) დ. ხაიმ ამშიკაშვილი (ებრაელი) ე. ფილიპეზ შიმშილაშვილი (ებრაელი).

2) საფინანსო კომისიაში არჩეულ იქმნენ: ა. დავით გ. ლობჯანიძე (ს. დ.) ბ. იროდიონ სურგულაძე (ს. ფ.) გ. ზემო ხახაშვილი (ებრაელი).

3) სასურსათო კომისიაში. არჩეულია: ა. სიმონ დუშიაშვილი (ს. დ. ბ. იროდიონ სურგულაძე (ს. ფ.) გ. ფილიპეზ შიმშილაშვილი (ებრაელი). საბჭოს თავჯდომარეს შემოაქვს წინადადება დაეკალოს გამგეობას: ბინის მოწყობა, 1919 წ. ხარჯთ - აღრიცხვის შედგენა და უახლოეს კრებისათვის მოხსენება, მიეცეს გამგეობას ბინის მოსაწყობათ და სხვა წვრილი ხარჯების დასაფარავათ 10.000 მანეთის ავანსი და განსაზღვროს შემდეგი კრების მოწვევის დრო. საბჭომ ყველა ეს წინადადებანი დაადასტურა.

დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

ფრანგული პრესა.

ფრანგი პოლკოვნიკი ტომა ოთხშაბათს მივიდა ოპელნში სილეზიის პრეზიდენტთან მოლაპარაკების დაწყების მიზნით. „ოპელნერ ციტუნგის“ ცნობით ანტანტის ჯარების მიერ ზემო სილეზიის ოკუპაცია იანვრის დამლევს დაიწყება.

ფლენსბურგიდან იტყობინებიან: საერთაშორისო კომისიის მდივანი და მასთან პოლიციის ახალი უფროსი, რომელიც საპლებისცეტო ოლქშია დანიშნული, ოთხშაბათ დილით ფლენსბურგში საფრანგეთის მმუსრავით მივიდა.

ერთა ლიგის საბჭოს პირველ სხდომაზე ბრაზილიიდან დანიშნულია გასტაო დაკუნიაროდელიც დროებით პარიზის ელჩათ ითვლება რიუმ ბარბოზოს მაგიერ. იაპონია წარმოდგენილია მატსუის სახით.

მიუხედავათ დადასტურებულ საზავო ხელ-

...ულებისა მელბურნის მთავრობა (ავსტ...ალიაში) ხელს უშლის გერმანიის საქონლის ...ტრალიაში შეტანას.

...ანკარგულება არის გაცემული გავრსა და ...ბარგს შორის ნავთის მატარებელ მ ლს გა...ვანის შესახებ. მუშაობა უნდა დასრულდეს 1 ...ლის განმავლობაში.

ჰოლანდიის მთავრობამ ყველა მინისტრების ...ელმოწერილი კანონ-პროექტი შეიტანა, რომ...ლის ძალითაც იგი თავს იპერს (?) ერთა ლი...გის შესახებ დადებულ ხელშეკრულებასთან ...შეერთებაზე- კანონ-პროექტთან დართულ მო...ტივებში მთავრობა ამბობს, რომ ერთა ლი...გის იდეა, რომელსაც ერები სამართლიანობის ...საფუძველზე უნდა შეერთებია, პირველ რიგ...ში დასმული იყო ომის დროს. მთავრობა ფიქ...რობს,რომ მიუხედავათ იმისა,რომ ერთა ლიგას შეეძლება მრავალი ნაკლი ჰქონდეს იგი მაინც ...თაის არსებაში ატარებს განვითარების ახალ ...ეტაპს, რომელიც სახელმწიფოსათვის სასარგებ...ლო იქნება, ნიდერლანდების მთავრობას არ შეუძლია ამ საერთაშორისო ორკანიზაციის წინააღმდეგ წავიდეს. მთავრთბას იმედი აქვს, რომ ჰოლანდია, რომელსაც სურს საზავო კონფერენციის მუშაობის თავის ნიადაგზე დამთავრება ამ დიდი საქმის გაკეთებას თა...ვის მხრივ ხელს შეუწყობს.

სტოკგოლმიდან იუწყებიან: პარლამენტის ...ბჭოს ნის დღეს მეფემ თავის სიტყვაში იმედი გამოსთქვა, რომ საზავო ხელშეკრულების ...რატიფიკაცია ხელს შეუწყობს მშვიდობიან მუშაობისკენ საერთო მისწრაფების განხორ...ციელებასო, მიუხედავათ ამისა პასიფიკაცია ჯერ არ დამთავრებულა. ერთა ლიგის შექმ...ნის საკითხს წინ გადაეღობა ის სიძნელენი, ...ამელთაც ზავის საბოლოო შეკვრა დააგვია...ნეს, მაგრამ ერთა ლიგის ხელშეკრულება ძა...ლაში შედის; შვეციას იწვევენ ლიგაში შე...სასვლელად. კანონ-პროექტი ამის შესახებ უნდა შეტანილ იქნას რიკსდაგის ბიუროში.

ფრანგული პრესა.

ჩეხო-სლოვაკია ესაზღვრება რუმინეთის და უნგრეთის ჩრდილოეთ ნაწილს ტისის ხეობით, საიდანაც საზღვარი უერთდება დუნაის 30 ვერსით ბუდაპეშტს ჩრდილოეთით. ხუთი ...ცისაგან, შემდგარი სპეციალური კო...ისია, რომელსაც დანიშნავენ მოკავშირენი, ...ოველ დაინტერესებულ მხარისაგან, საბო...ლოოდ გამოიკვლევს საზღვრების საკითხს, ...უნგრეთის ტერიტორიის განაწილება, იმ ...სახელმწიფოთა შორის,რომელთაც ეს ნაწილ...ერგებათ, ძოხდა ფ ნანსიურ პირობების და ...მიხედვით. სამხედრო თვალსაზრისით უნგრ...თის ჯარების რიცხვი 35,000 არ უნდა აღ...მატებოდეს. ჯარს არა აქვს უფლება 105 ...მილიმეტრზე მეტი კალიბრის ზარბაზანი ...ქონიოს.

ვერსალში უკანასკნელი მზადებაა პრეზი...დენტის ასარჩევად. მეორე უკვე გადაიტა...ნეს. კლემანსომ ოფიციალურად თანხმობა განაცხადა, რომ მისი კანდიტატურა იქნეს წამოყენებული. სენატისა და პალატის სხვა და სხვა პარტიათა წარმომადგენლების წინას...წარი კრება იქნება პარასკევს დღისით. ამ ტრადიციულ კრების მიზანია პარტიების სურ...ვილის გამოთქმა და შეთანხმება რესპუბლი...კის პრეზიდენტთან ამა თუ იმ კანდიდატის დასახელების შესახებ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲘᲠᲥᲐ.

დეკემბრის განმავლობაში ქალაქის შრომის ბირჟაში 183 უმუშევარი ჩაეწერა. ამათ შორის...ვ ერ 135, ქალი 43. ნოემბრიდან ჯდარ ჩენილი იყო უმუშევრად 50, ამ ერამათ ბირჟაში უმუ...შევარი არის ჩაწერილი 223. შრომის საშოვ...ნელად მისულა ბირჟაში 1326 ჯერ, თითო მუშას თვეში 6 ჯერ შეხვედრია მისვლა. უმუ...შევრები შემდეგ ნაირად ნაწილდებიან: ხელ...ოსნები—72, სავაჭრო-დაწესებულების—17, სატრან პორტო—5, ხელზე მოსამსახურე—75, სასოფლო სამეურნე მუშები—8, საგიგიენო—2, კანტორისა და კანცელარიების მოხელენი—7, შავი მუშები—43, და მკერეწლოკანნი 7. დე...კემბრის განმავლობაში სამუშაო მიეცა 41 მუშას, ანუ 17-%-ს. სამუშაოზე მიღებულები ასე განაწილებიან: მოხელენი 14, ხელზე მო...სამსახურენი 11, კანცელარიის მოსამსახურე...ნი2, შავი მუშები 14.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔ-ᲛᲔᲡᲐᲥᲝᲜᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

პროგრამა.

1. მეცხვარე-მესაქონლეობის მდგომარეობა

1) საქართველოს მეცხვარეების დღევანდელი მდგომარეობა. 2) საქართველოს მესაქონლეების დღევანდელი მდგომარეობა. 3) მოხსენებანი ადგილებიდან.

II საერთო კითხვები მეცხვარე-მესაქონლეობისათვის.

1) ზამთარ-ზაფხულის საძოვრები. 2) გზების საკითხი. 3) მეცხვარეობის დაცვა მტაცებლობისაგან და საზღვრების საკითხი. 4) ცხვარ-საქონლის ავადმყოფობანი და მათთან ბრძოლა. 5) საბჭედრო ბეგარა და მწყემსობა.

III ნაწარმოების ბაზარი, ფასები და მონოგოლია.

IV ნაწარმოები.

1) მატყლი: ა). მატყლის სხვა და სხვა ჯურები. ბ) გადარჩევა, გარეცხვა. გ) შ-ნამრეწველობა. დ) ქარხნული გადამუშავება. 2) რძეული: ა) მეყვეულეობა, ბ). ერბო-კარაქი და სხვა და სხვა ნაწარმოებნი. 3) ტყავეული.

V. საზოგადო კითხვანი.

1) საყოლი საქონლის დაცვა კანონმდებლობით. 2) მესაქონლე-მეცხვარეთა კავშირები და კოოპერაცია. 3) სახელმწიფოს და ერობათა მიერ მფარველობა და დახმარება მეცხვარე მესაქონლეობისა.

4) საქონლის დაზღვევა. 5) მეცხვერე-მესაქონლეთა საერთო საბჭო.

წესრიგი.

1) ყრილობა იკრიბება „მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებელო კავშირის" თაოსნობით ქ. ტფილისში 1920 წელს, 21 იანვარს დილის 10 საათზე და გაგრძელდება იმავე თვის 22 და 23.

2) ყრილობის წევრობა შეუძლიან საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მრეწველ მეცხვარე-მესაქონლეს, ვინც ამის სურვილს ყრილობის გახსნამდე განუცხადებს მომწვევ კომიტეტის მდივანს.

3) სამ. საზოგადოებანი, ერობანი, მეცხვარე-მესაქონლეთა კავშირები და ის კოოპერატიული საკრედიტო თუ სხვა დაწესებულებანი, რომელთაც კი მეცხვარე-მესაქონლეობასთან აქვთ დამოკიდებულება, ყრილობაზე გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

4) ყრილობაზე არ განიხილება არც ერთი მოხსენება, თუ იგი, ერთი კვირით ადრე ყრილობის გახსნამდე არ ჩაბარდება მომწვევ კომიტეტს.

5) ყრილობას ხელმძღვანელობს მომწვევი კომიტეტი, ვიდრე ამორჩეული არ იქნება ყრილობის პრეზიდიუმი.

6) ყრილობის წევრებს ეძლევათ პირადი ბარათი, ყრილობის დაბეჭდილი ანგარიშები და ყოველივე გამოცემა..

7) ყრილობის წევრთათვის მოწყობილ იქნება სხვა და სხვა ფირმა-ქარხნების დათვალიერება.

P S ჩაწერა და წინასწარი ცნობების მიღება შეიძლება: მოსკოვის ქუჩა. № 4, დილის 10—12 საათამდე.

ᲡᲔᲜᲐᲢᲘ

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის საადმინისტრაციო განყოფილების 1920 წლის იანვრის 21 სხდომაზე დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1) საჩივარი ტფილისის ქალაქის გამგეობის რწმუნებულის ნაფიც ვექილის ამირხანოვისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილებაზე დავით მახარაძ ს პავლოვაროვის სახლიდან გაძევების შესახებ ტფილისის ქალაქის გამგეობის განკარგულების თანახმად.

2) საჩივარი ქალაქ ტფილისის გამგეობის რწმუნებულის ნაფიც ვექილის გეფშტეინისა ტფილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 23 მაისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულია ტფილისის ქალაქის გამგეობის 1918 წლის 19 თებერვლის განკარგულება შესახებ სამსონ სარიბეგოვის მიერ ეჯარით აღებულ გაბაევის სახლის რეკვიზიციისა—საბურთალოს კულტურულ განმანათლებელ საზოგადოების საჭიროებისათვის;

3) საჩივარი ფოთის ქალაქის გამგეობისა ქუთაისის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების 1918 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც გაუქმებულ იქნა ქალაქ ფოთის გამგეობის დადგენილება შესახებ ალ. მდივნის აფთიაქის დაკეტისა.

1920 წლ. იანვრის 23 ს სხდომაზე დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

1. საქმე ალექსანდრე ირაკლის ძის ბაგრატიონ ჭუხრანსკის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მინგრელსკისთან მამულის საკუთრების უფლების თაობაზე.

2) საქმე ლუკა ლუკის ძის ბახტაძის ბესარიონ კონსტანტინეს ძე ნადარეიშვილთან და ნიკოლოზ გიგიას ძე ჭ ვჭანიძესთან საგვარეულო მამულის გამოსყიდვის თაობაზე.

3) საქმე გეორგ აბოევის მამულის ტიგრან გალუსტის ძე გიუზალოვის დასაკმაყოფილებლად ვალში გაყიდვის თაობაზე.

4) საქმე გეორგ მოსეს ძე ჩილინგაროვის დანიელ იოსების ძე ბელზიცმანთან ხელშეკრულობის გაბათილების თაობაზე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ ნო რედაქტორო, ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით შემდეგი ცნობები, რაც კი ჩემ მიერ დღემდე ისტორიული მასალები ცალკე წიგნებათ არა მაქვს დასტამბული ამ მასალების ცნობების განცხადებას მით უფრო საჭიროთ ვსთვლი, რადგანაც იგი შეეხება საქართველოს სამხედრო ისტორიის მასალებს და მეორე კიდევ იმ საყურადღებო გარემოებას, თუ ქართველთა და რუსთა კავშირი როგორ დამყარდა პეტრე დიდის დროიდან და ან რუსის მონარქები რა გვეღირა ზომებს ხმარობდენ საქართველოს სამეფოს და ქართველი ერის დასაღუპათ.

ზოგი წერილები დაბეჭდილი იყო ძველს გაზეთებში, უმეტესი ნაწილი კი ამ წერილების დედნები ცენზურისაგან იქნა წარიმეული და მოსპობილი 1878 წ. როცა მე ალექსანდრე ორბელიანის ნაწერებს ვბეჭდავდი. თვით ეს ხელთნაწერი მასალები იყო ალექსანდრე ორბელიანის ხელით ნაწერი. ვისი და წერილები იყო იგი თვით ალ. ორბელიანის, ან სხვების ნაწერი და მერე ალექ. ორბელიანისაგან გადაწერილი, ამისი ჩვენ არა ვიცით რა, მხოლოდ მე მიურდა ამ ნაწერების მოთავსება ალექს. ორბელიანის ნაწერებში, რომლის ორი წიგნიც მე დავბეჭდე 1878 წ. ეს ხელთნაწერები ცენზურაში წარვადგინე ბეჭდის ნება დასართველად. მე იმედი მქონდა, რომ მისი დაბეჭდის ნებას ცენზურა მომცემდა, ის კი არა, განხილვის შემდეგ მათ ყველა ხელთნაწერები წამართვეს და კინაღამ სამართალში მიმცეს.

ყველა ეს წერილები მე ისე მქონდა გაზეპირებული და ისე ხშირად ვკითხულობდი, რომ წერილების ცნობები სულ ზეპირად ვიცოდი. ამ ბოლოს დროს, დიდი მეცადინეობის შემდეგ ყველა ის წერილები დავსწერე ისე, როგორც კი იგინი მე მახსოვდა. კარგად ალარ მახსოვს ორი წერილის ამბავი, სახელდობრ დიმიტრი ციციშვილის ამბები და ანტონ კათოლიკოსის დაპატიმრების ცნობები, რაც კი მაინც დავსწერე იმ ცნობებით, რაც მომაგონდა.

აი რა წერილები გახლავთ ესენი, რომელთა დაბეჭდვაც კი მსურს ცალკე წიგნებად:

1. რუ ეთის იმპერატორმა პეტრე დიდმა როგორ მიიწვია ვახტანგ VI რუსეთში და ამის 3000 ქართველი და ამათი დაღუპვის ამბები რუსეთში.

2. ელისაბედ იმპერატრიცამ მეფე თეიმურაზ მეორე რათ მიიწვია რუსეთში 1760 წ. თეიმურაზმა რათ დაპატიმრა ანტონ კათალიკოზი, ვისის ჩაგონებით სდევნა ქართველი კათოლიკენი და როგორ მეფობდა ეს მეფე თავის ქვეყნის დასაღუპათ ელისაბედ—იმპერატრიცას გაბრიყვებით.

3. გენერალ გრაფ ტოტლებენმა როგორ მოატყუა მეფე ერეკლე და ასპინძის ომში ტოტლებენის ღალატი.

4. საქართველოს მოღალატე დიმიტრი ციციშვილი, ამის მამა პავლე, გარსევან ჭავჭავაძე, საქართველოს პირველი მთავარ მართებელი პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი და სხვანი.

5. რუსთა და ქართველ ტრაქტატის ამბავი 1783 წ., გარს. ჭავჭავაძე და სოლ. ლეონიძე რუსეთში.

6. საქართველოს გამყიდავნი გიორგი ავალიშვილი, ელიზბარ ფალავანდოვი და იმერეთის მოღალატე ზურაბ წერეთელი და სხვანი, და ამათი შეყიდვა და რუსთაგან მიცემული საჩუქრები.

7. გენერალი ივან ლავრენტის ძე ლვოვი და მისი გაიძვერობა მეფე ერეკლეს კარზედ.

8. გენერალ სუბოტინმა როგორ მოატყუა სოლომონ იმერთ მეფე და ამით როგორ გაუწყვიტა სოლომონ მეფეს ფოთში 30 ათი ათასი იმერთ მხედრობა ოსმალთან ბრძოლაში.

9. აღა-მამად ხანის შემოსევა საქართველოში ამისთვის მას რა დახმარება მისცა ეკატერინემ საიდუმლოთ და გენერალ ღოდოვიჩის ღალატი მეფე ერეკლეს წინაშე 1795 წ. ომში.

10. მეორეთ შემოსევა აღა მამად ხანისა საქართველოში 1797 წ. ამისთვის მას როგორ აქეზებდა პატიომკინი, რა ქრთამებს აძლევდენ აღა მამად-ხანს გენერალი გუდოვიჩი, ზუბოვი, გენერალი ბელტაკოვი და სხვანი და ამათი ბოროტებანი.

11. დოქტორ იაკოფ (გერმანელი) რეინგოსი მეფე ერეკლეს კარზედ, ამის მეცადინეობა საქართველოს ასალორძინებლათ. რეინგეს პატიომკინი იწვევს ასტრახანში და რეინგს გზაში რუსები ჰკლავენ.

12 ინჟენერ მუსინ პუშკინი და მემადნე გერმანელი ეიხელდი, ამათი ცდა მეფე გიორგის წინაშე, საქართველოს მადნების იჯარით აღებაზედ.

13. პავლე იმპერატორმა როგორ მოატყუა მეფე გიორგი და მით როგორ აირია საქართველოს სამეფო ოჯახის საქმენი და მთლათ საქართველო.

14. რა მიზეზით მოჰკლა მეფე გიორგის მეუღლემ მარიამ დედოფალმა რუსის გენერალი ლაზარევი.

15. გენერალ პატიომკინი, მისი ოსტატური ცდა საქართველოს სამეფოს დასაპყრობათ და საქართველოს ხელში ჩასაგდებათ.

16. ალექსანდრე ბატონიშვილი სპარსეთში და ამისი ბრძოლა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ.

17. საქართველოს სამეფოს გაუქმება, ტფილისის გუბერნიათ გამოცხადება და რუსის პირველი სამხედრო გუბერნატორი კრეინიკი და ამისი შრომა ქართული ოჯახის მოსაშლელათ.

18. პავლე ციციშვილი, პირველი საქართველოს მთავარ მართებელი და ამის ბოროტებანი ბაგრატიონების გვარის წინაშე.

19. იოსებ არღუთინსკი, სომხის ეპისკოპოსი და ამისი ცდა საქართველოს დასაღუპათ.

20 ასტრახანელ სომხების მოქმედება საქართველოს სამეფოს დასაღუპათ და ამათ აღა მაჰმადხანთან როგორ ჩაჰქონდათ რუსისაგან მიცემული ქრთამები და რუსული საომარი იარაღი, რომ ამ იარაღით მოესპოთ ქართველები სპარსელებს.

21. იმერეთის აღება რუსთაგან, სოლომონ მეფეს მოღალატე ზურაბწერეთელი და ამისი შრომა იმერეთის ერის დასაღუპათ.

22. პატრი ნიკოლა რუტილიანი და მისი შრომა მეფე გიორგის წინაშე, რომ საქართველო რუსებს არ ჩავარდნოდათ ხელში.

23. ქართველი ბატონიშვილების გადასახლება რუსეთში, ამათი უმწეო მდგომარეობა და მათი დინასტიის მოსპობა რუსეთში.

24. რუსთაგან შესყიდული ქართველები და ამათი საჩუქრები, რაც რუსთაგან მიიღეს მათ.

25. ანტონ კათოლიკოზის დაპატიმრებაში რა როლს თამაშობდა ელისაბედ იმპერატრიცა თეიმურაზ მეფის წინაშე.

26. ანტონ მეორე კათოლიკოზის გადაყვანა რუსეთში და რუსთაგან შეყიდული და გარუსებული ქართველი ეპისკოპოსები.

27. რუსების შემოსვლა საქართველოში-„ბარაბანი" დაჰკრეს, საქართველო იმარხება, ქართველ მკვდრებს მუზიკით დამარხვენ, რუსის მთავრობის გადასახადში ქართველთ მაძულებიც ბარაბანის დაკვრით გაისყიდება და ამის ამბები დაწვრილებით.

ზ. ბ.

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ

✦ დღეს, იანვრის 18 ს, საღამოს 6 საათზე, კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტის ბინაზე (ოლღას ქუჩა, № 40) მოხდება საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი საზოგადო კრება. საგანი კრებისა. 1) გიორგი ჩუბინაშვილის მოხსენება—„წრომის ტაძარი", და 2) ახალის წევრების არჩევა. კრებას გარეშეთაც შეუძლიან დაესწრონ.

✦ გაიხსნა საქალაქათაშორისო ტელეფონის მოქმედება ტფილისსა და თიონეთის და ტფილისისა და ეკატერინოვკის შორის ლაპარაკისათვის შემდეგი ფასის გადახდევინებით: ჩვეულებრივი ლაპარაკისათვის ერთ წუთში 2 მანეთი და სასწრაფო 6 მან., მხოლოდ დავალების შესრულებისათვის 2 მან. ორივე შემთხვევაში.

✦ დღეს კვირას 18 იანვარს ქართველ კათოლიკეთა მიძინებას ეკლესიაში კათოლიკეთა ქუჩა № 4 გარდახდილ იქნება წირვა და პარაკლისი საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას ალსანიშნავად. დასაწყისი დილის 11 საათზე.

✦ ტფ. ქალ. გამგ. სასჯარს. განყ. მიიღო თუშური ყველი, რომელსაც აძლევს ყველა საზოგადო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს 3 გირვ. ოჯახზე, 35 მან. გირვ. დაწესებულებებმა უნდა წარადგინონ მოსამსახურეთა სია სასჯარსათო განყოფილებაში.

ხელოვნება.

ქართულ მუსიკალურ სასწავლებელში უმაღლესი მუსიკალური სასწავლებელი.

აღიძრა საკითხი სანუსიკო სასწავლებლის უმაღლეს მუსიკალურ საწავლებლათ გადაკეთების შესახებ. მოწვეულია ახალი მასწავლებლები, სწავლის ფასი გადიდებულია.

ახალი კლასები.

ქართულ მუსიკალურ სასწავლებლის მუსიკოსთა კოლეგიამ და გამგეობამ გადასწყვიტა მომავალ წლიდან სასწავლებელში მოაწყოს საოპერო კლასი და ჩასაბერ სამუსიკო იარაღების და კონტრაბასის კლასები.

გამოცემანი.

მუსიკალურ სასწავლებლის გამგეობამ და მუსიკოსთა კოლეგიამ გადასწყვიტა გამოსცეს: 1) გალობის სახელმძღვანელო პირველ დაწყებითი სკოლებისა და საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასებისთვის—ვ. ს. თამარაშვილისა, 2) „ქართული სახალხო სიმღერებები და ქართველთა კულტურა"—დ. ნ. არაყიშვილის, 3) მუსიკის ელემენტალური თეორია" დ. არაყიშვილის ა. ყარაშვილის და ილ. აბაშიძის რედაქციით.

რკინის გზაზე

ბათუმში მოხდარ არეულობის გამო, ზოგმა საქონლის პატრონმა, რომელიც საქონელს ბათუმში გზავნიდა, ითხოვეს გაეჩერებიათ მათი ვაგონები სხვა სადგურებზე 3—5 დღე, თუმცა საქონლის სადგურებზე არავითარი არეულობა არ ყოფილა და მუშაობაც გრძელდება, რადგან ყველა საწყობებს და ვაგონებს იცავდა და იცავს ინგლისის ჯარი.

საქართველოს რკინის გზის სამმართველო შეუთანხმდა საბაჟო და სააქციზო უწყებას, რათა ნავთი, რომელიც იგზავნება ბათუმში, ფოთში და სანაინში დღეიდან სასღვარზე არ გაისინჯოს, რისთვისაც ვაგონები დაუბრკოლებლივ უნდა წავიდეს სად. სალოღლიდან დანიშნულებისამებრ.

მილიციაში.

საზოგ. „კავკაზ და მერკური" და "ვოსტოჩნოე" ს საწყობების გამგემ ივანე ბარანკევიჩმა განუცხადა სისხლის სამართ. მილიციას, რომ აღნიშნულ საწყობიდან, ვითომ ექ. ტამიროვის ხელწერილით უცნობმა მიიღო ხალიჩები ღირებული 500,000 მან. ხელწერილი ყალბი აღმოჩნდა. ხელწერილი იყო ექიმ ტამიროვის მაგივრად, მისი ძმის არტემ ტამიროვის მიერ, რომელმაც მიიღო აღნიშნულ საწყობიდან 4 ფუთი 15 გირ. ხალიჩები და დაიმალა პეტროვსკში.

—

3 იანვარს, ექიმ ამაიაკ ტერ-გაბრიელოვმა განუცხადა სისხლ. სამარ. მილიციას, რომ მას მოპარეს ორი ხალიჩა, ღირებული 75,000 მან. მას ეჭვი ჰქონდა მეეზოვე არტაშ ასატუროვზე. ხალიჩები აღმოაჩნდა მიხეილის ქუჩა, № 118, მცხოვრებს უსუპ ალი ისმაილ ოღლის, რომელმაც განაცხადა, რომ ხალიჩები იყიდა მეეზოვე ასატუროვისგან, რომელიც დაიმალა. უსუპ ალი ისმაილ ოღლი დაჭერილია, ასატუროვს ეძებენ, ხალიჩები პატრონს გადაეცა.

ბოროტ-მომქმედთა დაპატიმრება.

11 იანვარს, მე 11 კომისარიატში, მეორე სასურსათო დუქნის დამცველთა რაზმის უფროსმა სიხარულიძემ ძიეყვანა გიორგი კალანდაძე და გიორგი კანკანავა, რომელთაც ბრალდებათ სასურსათო მაღაზიიდან 12 ტომარა ფქვილის მოპარვა 12000 მანეთისა.

თვითმკვლელობის განზრახვა.

15 იანვარს, ამიერ კავკასიის უნივერსიტეტის კურსისტკამ ტარა ზუნდელმა უნივერსიტეტის საპირფარეშოში თავის ჩამოხრჩობა განიზრახა, საპირფარეშოში შემთხვევით შესულ ამხანაგებმა უკანასკნელი სიკვდილს გადაარჩინეს.

პროვინცია.

წერილი მანგლისიდან.

31 ს წარსულ დეკემბერს აღსანიშნავად ქართველ სომეხთა ომის დასრულების წლის თავისა და ამ ომში ქართველ მეომარ დახოცილ გმირების სულის მოსახსენებლად აქაურ სამხედრო წ. პეტრე-პავლეს ტაძარში მღ. ვ. კოპ—შვილის მიერ გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, რომელსაც დაესწრო თითქმის მთელი აქ დაბანაკებული მე-12 ტე ქართველთა ათასეული თვისი უფროსით პოლკოვნიკი ბ. გრიგოლიათი და ყველა უფროსი და უმცროსი აფიცრებით.

წირვა პანაშვიდის დასრულებისას ხსენებულმა ღვდელ მ. კოპტონაშვილმა წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ ყოვლად გრძნობიერ სავსე სიტყვა, რომელიც აქვე მოგვყავს და რომელმაც ბევრი აატირა:

„დღეს წელიწადი შესრულდა, რაც ქართველ—სომეხთა ომი დამთავრდა; დღეს ვიხსენებთ ყველა იმ ჩვენ მამაც გმირებს, რომლებმაც თავის ძვირფას საქართველოს თვისი სიცოცხლე შესწირეს და წუთი-სოფელს გამოესალმნენ.

ამ ყოვლად მოულოდნელმა და დაუნდობელმა—სომეხთა მიერ გამოწვეულმა ომმა, მართლაც, ბევრი ჩვენი თანამემამულე გამოგვალმა წუთი სოფელს და დაუობლა ოჯახი და თაბილი კერა, მაგრამ ქართველთა მედგარ, ვეკაცურმა და მამულიშვილობის სიყვარულით გამსჭვალულმა ხხედრობამ თავზარი დასცა ჩვენს მოლალატე—მონათესავეთ, აურაცხელი ზარალი მიაყენა მათ და შერცხვენილნი უკუაქცია...

დასასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი იმ ქართველ მეომარ გმირების სახელოვანი, ვეკაცური ბრძოლა სომხეთთან, თავის დადება სამშობლოსთვის, საქართველოს მატიანეში ოქროს ასოებით იქმნება აღნიშნული.

ა. ხ.

წერილი რედ. მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ მთავრობის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქუთაისში მცხოვრებ მელიტონ სოლომონის ძე არჯევანიძეს, რომელიც გვიგზავნის ჩვენ გონებრივ საზრდოს. სხვა და სხვა ჟურნალ-გაზეთებს ვთხოვთ სხვებსაც მიბაძონ მას.

ფოთის მე II-ე სანაპირო რაზმი.

ოქმოწყალულება

მათხოჯის სახალხო სახლის ფონდი.

2.

გიორგი და ვანო ალექსიძენმა კაკაურიძეებმა თავიანთ ნაცნობთა და მეგობრებში მათხოჯის სახალხო ხალხის სასარგებლოდ შეკრიბეს ორი ათასი მანეთი (2000 მან.), სია შემოწირველთა: ალექსანდრე კეკელიძე (25 მან.), სავლე სვანაძე, ვასილ თევზაძე, ივანე აირაპეტოვი, ვ. ტაბუტაძე, ტ. ჩურიანაცი, ლევან ბოხრიკაშვილი, სერგო თებზაძე (ხუთ ხუთი თუმანი), ვალოდია საკტაროვი, სერგო რამიშვილი, ბიჭიკო ჯაფარიძე, ალექსანდრე ტახუცაძე, არეპეტოვი, ერმილე კაკაურიძე (ას ასი მანეთი) და თითონ გიორგი და ვანო კაკაურიძეები (ათას ოცდა ხუთი მანეთი)—სულ ორი ათასი (2000 მან.) **გრიგოლ ივანეს ძე ხელაიამ** გადმომცა სამას ხუთი მანეთი (305 მან.). სია შემოწირველთა: ვარლამ მელქაძე, იასონ ბურჯალიანი, გრიგოლ ხელაიამ (ას ასი მანეთი), სანდრო ხუნდაძე (ხუთი მანეთი) სულ სამას ხუთი (305 მანეთი), მთლად (2000 მან. × 305 მან.)—2305 მან. მათხოჯის სახალხო სახლის აღმაშენებელი საგბო დიდ მადლობას სწირავს შემომწირველთ.

საგბოს თავმჯდომარე **ვარლამ ძიძიგური.**

ზანცხადებანი

დაკარგული საღეტექიო წიგნაკი, მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სამეურნეო დარგის სტუდენტის გიორგი პეტრეს ძე ცაგარეულის სახელზე გაუქმებულათ ითვლება. 3—1 81

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა წლის 2 თებერვალს, დილის 10 საათიდან ტფილისის საქონლის სადგურზე გაიყიდება გაუტანელი 3 ვაგონი ხის კოპები, წონით 3000 ფ. სამტრედიიდან—ტფილისი სატვ. ბარ. №№ 6667, 46668 და 46669. ხელმეორედ გაყიდვა დანიშნულია მეორე დღეს, თებერვლის 3-ს 84 1—1

ქ. ტფილისის მე-6 სამომრიგებლო უბნის მოსამართლე ამით აცხადებს, რომ ვექილობა მიცემული ალათი ალექსანდრეს ასულის პიმჩენკოს მიერ ალექსანდრე კონსტანტინეს ძე კალანტარიოვზე და შედგენილი ტფილ. ნოტარიუს ქართველიშვილთან 1919 წ. სექტემბრის 4-ს, რეესტრ. № 4064 გაუქმებულათ ითვლება. 326 1—1

სისხლ. სამ წარმ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის საუნო ოლქის დადგენილებით, ეძებენ სოფ. ქვემო მაჩხაანში მცხოვრებს ალექსანდრე ილიკოს ძე მენთეშაშვილს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე 1630, 1632 მ. მ. და 7 3. 5 ივლისს 1918 წ. კან.

დაკარგულის ნიშნებია: 27 წლისაა, შუა ტანისა, თმა, წარბები, წვერი და ულვაშები შავია, თვალები წაბლის ფერისა, პირისახე სუფთა, პირი, ცხვირი და ნიკაპი ზომიერია, მარჯვენა ფეხზედ კოჭლობს.

ყველა, ვინც იცის ალექსანდრე ილიკოს ძე მენთეშაშვილის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს სად არის იგი. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას. 24 1—1

1919 წ. ოქტომბრის 20 ს ქ. ტფილისის მე 13 უბ. მომრიგებელმა, განიხილა რა თხოვნა გენ. მაიორის პრინც მამედ მირზა კოჯარისა მალიაკ ხანუმ პრინცესა კოჯარზე მიცემულ ვექილობის გაუქმების შესახებ დაადგინა: ვექილობა მიცემული პრინც მამედ მირზა კოჯარის მიერ მიალიაკ ხანუმ პრინცესა კოჯარზე და შედგენილი ქ. განჯის ნოტარიუს ხარკევიჩთან, ვექილობა, რომლითაც პრინცესას მინდობილი ჰქონდა მამედ მირზა კოჯარის სახლი ქ. ტფილისში, ბათუმის შესახვ. № 4, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1593 1—1

სისხლ. სამ. წარმ. წეს. მე 846 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ მანუჯ ოსიპოვს, დამნაშ. 1654 მ. ს. ს. დ. დაკარგულის ნიშნები გამოუურკვეველია.

ყველა, ვინც იცის ოსიპოვის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს, ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას. 13 1—1

სისხლ. სამ. წარმ, წეს, მე-846, 847, და 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ ზაქარია ივანეს ძე გოლაშვილს, დამნაშ. 1454 მ. დ. მცხოვრები ქ. ტფილისში. დაკარგულის ნიშნებია: 25 წლისა, საშუალო ტანისა, თმა ქერა, ნაყვავილები.

ყველა, ვინც იცის გოლაშვილის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას. 12 1—1

კეზრა იზრაელის ძე გორელიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 1773, აღებული ნოემბრის 24 ს 1919 წ. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს.

მიხეილ ირაკლის ძე ხხეიძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ნამსახურობის მოწმობა, № 2506, აღებული ტფილისის ძირითადი მთავარ საწყობიდან № 1. მოწმობა გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1—1

მარიამ იოსების ასული მაისურაძე აცხადებს, რომ მან დაკარგა ტფილ. მე-14 უბნის მომრიგებელ-მოსამართლისგან 1919 წ. დეკემბრის 20 აღებული აპეკუნობის მოწმობა № 980, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 87 3—1

ალექსანდრე ნესტორის ძე გოგუა აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სამტრედიის რკინის გზის ორკლასიანი სასწავლებლის მიერ მიცემული ატესტატი № 555, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 83 2—1

ქ. ტფილისის პირველი სამომრიგებლო უბნის მოქალაქე გ. ბარუტჩევი აცხადებს, რომ 1920 წ. იანვრის 31-ს დილის 10 საათ., კირპიჩნი შესახვ. სახლი № 16, საჯაროთ გაიყიდება გარდაცვალებულ კონსტანტინე ორლოვსკის მოძრავი ქონება, რომელიც შეიცავს ტანისამოსს და სხვ. ავეჯეულობას, შეფასებულს 1553 მან. 77 1—1

ტფილისის სამიტროპოლიტო სასამართლოში ოლოა იაგორის ასულმა ძამაშვილმა შემოიტანა განცხადება, რომ მისი ქმარი ქრისტესია იაკობის ძე ძამაშვილი, რომელზედაც ჯვარი დაიწერა 1910 წელს უკვალოდ დაიკარგა 1910 წლიდგან, რის გამო აღნიშნული ოლოა იაგორის ასული ძამაშვილისა თხოულობს მისგან განქორწინებას. ყველა, ვინც კი იცის დაკარგულ ქრისტესია იაკოფას ძე ძამაშვილის მისამართი, ვალდებულია საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ კანონთა ძალით, სამიტროპოლიტო სასამართლოს განუცხადოს ზემოხსენებულ პირის შესახებ საჭირო ცნობები დღიდან ამ განცხადების დაბეჭდვიდან 2 თვის განმავლობაში. 32 1—1

სისხლის სამ. წარმ. წესდ. მე 846, 847, 848 და 851 მუხ. ძალით ტფილისის ოლქის სასამ. დადგენილებით, ეძებენ ერმალოზ გიორგის ძე კობიძეს, დამშავ. 417 მ. ს. ს. დ. დაკარგულის ნიშნები გამოურკვეველია. ყველა, ვინც იცის კობიძის ბინადრობა, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა უფლებაში აღმოჩნდება დაკარგულის ქონება, ვალდებულია დაუყონებლივ გადასცეს იგი საოპეკუნო გამგეობას. 11 1—1

საქართველოს მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობის მოწვევის წესრიგი.

1. ყრილობა იკრიბება „მწარმოებელ კოოპერატივთა საგამსაღებელო კავშირის" თაოსნობით ქ. ტფილისში 1920 წელს, 21 იანვარს, დილის 10 საათზე და გაგრძელდება იმავე თვის 22 და 23-ს.

2. ყრილობის წევრობა შეუძლიან საქართველოს რესპუბლიკის ყოველ მრეწველ მეცხვარე-მესაქონლეს, ვინც ამის სურვილს ყრილობის გახსნამდე განუცხადებს მომწვევ კომიტეტს ხდიანს.

3. სამეურნეო საზოგადოებანი, ერობანი, მეცხვარე მესაქონლეთა კავშირები და ის კოოპერატიულ-საკრედიტო თუ სხვა დაწესებულებანი, რომელთაც კი მეცხვარე მესაქონლეებთან აქვთ დაბოკიდებულება, ყრილობაზე გზავნიან თავიანთ წარმომადგენლებს.

4. ყრილობაზე არ გასინჯდება არც ერთი მოხსენება, თუ იგი, ერთი კვირით ადრე ყრილობის გახსნამდე არ ჩაბარდება მომწვევ კომიტეტს.

5. ყრილობას ხელძღვანელობს მომწვევი კომიტეტი, ვიდრე ამორჩეული არ იქნება ყრილობის პრეზიდიუმი.

6. ყრილობის წევრებს ეძლევათ პირადი ბარათი, ყრილობის დაბეჭდილი ანგარიშები და ყოველივე გამოცემა.

7 ყრილობის წევრთათვის მოწყობილ იქნება სხვა და სხვა ფერმა-ქარხნების დათვალიერება.

P. S. ჩაწერა და წინასწარი ცნობების მიღება შეიძლება: მოსკოვის ქუჩა, № 4, დილის 10—12 საათამდე. 84 1—1

ტფ. სამხედრო გინათა დისტანცია

აცხადებს, რომ თებერვლის 7-ს ამა 1920 წ. დანიშნულია პიროვნული შეჯიბრება ეჯარის მისაცემად ტფ. გარნიზონის ბინებიდან უსუფთაოების და ნაგვის გაბიდვის შესახებ. მსურველს შეუძლია შემოიტანოს თხოვნა პირობების აღნიშვნით არა უგვიანეს 1 თებერვლისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში (ინჟინერის ქუჩა № 2) დილის 10—3 საათამდე. 5—2 63

გზათა სამინისტროს

ავტომობილების სარეგისტრაციო კომისია აცხადებს ავტომობილების, მოტორების და მოტოციკლების მეპატრონეთა საყურადღებოთ, რომ სარეგისტრაციო მოწმობების მიღებმ კომისიისგან (ქ. ტფილისში სერგეევის ქ. № 8 გზატკეცილების სამმართველოში) უნდა მოთავდეს 1920 წლის 15 თებერვლამდის. სარეგისტრაციო განცხადების მიღების შესახებ-დროებითი ხელწერილები მუდმივ მოწმობებით უნდა შეიცვალოს. თანახმად შ. ნაგან საქმეთა მინისტრის 1919 წლ. 25 აპრილის სავალდებულო დადგენილებისა ავტომობილი, მოტოციკლი, ან ცალკე მოტორი ისეთ პირს ჩამოერთმევა, ვისაც აღნიშნული ვადის შემდეგ კოგბილების მოწმობა არ აღმოაჩნდება, ავტომობილი არ ჩამოერთმევა მხოლოდ მას, ვინც საბუთებით დაუმტკიცებს კომისიას, რომ მან ეს ავტომობილი ამა წლის 15 თებერვლის შემდეგ შემოიტანა ტფილისში და სათანადო მოწმობასაც თხოულობს.

74 2—2 თავმჯდომარე კომისიისა ინჟინერი ბ. კაეინსკი.